# ხელშეკრულება 53
# სახელმწიფო შესყიდვისშესახებ
## *მომსახურების შესყიდვა*

ქ. თბილისი 12. 12. 2013 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი 62-ე საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორი თ.მალაზონიას სახით და მეორეს მხრივ შპს ,,სერვის ექსპრეს+". გენერალური დირექტორის მინდობილი პირი ოთარ მამასახლისის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით ფილტრების გაწმენდის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკება. **BPV** /50300000 /.

### *2.შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია ფილტრების გაწმენდის მომსახურების შესყიდვა იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მრავალი დასახელების საქონელი, ხელშეკრულებას თან უნდა დაერთოს შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი (მაგ; ინვოისის სახით), როგორც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი).

### *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი 25.00 ლარი .

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ოცდახუთი ლარი დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. (შესყიდვის ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, საგარანტიო მომსახურების ვადის მითითება).

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ათი (სიტყვიერად) კალენდარული დღის განმავლობაში. (საქონლის მიწოდების ეტაპობრივი ვადების შემთხვევაში მიწოდების გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა).

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი შარტავას 20

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით. (ხაზი გაუსვით.)

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ათი (სიტყვიერად) საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

### *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს ათი (სიტყვიერად) დღისა;
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 13 დეკემბერი.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი

შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს (ლამზირა მელქაძე, ქ. თბილისის საჯარის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15..1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი მიმწოდებელი:

დასახელება ს.ს.ი.პ. 62 საჯარო სკოლა
ბანკის, ფილიალის დასახელება
კოდი: KSBGGE22 სს „კორ სტანდარტ ბანკი"
ს/კოდი: 211351605

ა/ა GE10KS0000000360800576
დირექტორი თ. მალაზონია

შპს "სერვის ექსპრეს +"
ვითიბი ბანკი

ს/კ 404858542

ა/ა GE783 VT 7000000121243602

გენ.დირექტორის მინდობილი პირი
ოთარ მამასახლისი

# მიღება-ჩაბარების აქტი 598231

ქ.თბილისი 12 12 2013 წ.

ერთის მხრივ შპს"სერვის ექსპრეს+"-ს წარმომადგენელი [illegible] შემდგომში "შემსრულებელი" და მეორეს მხრივ ________________ წარმომადგენელი ________________ შემდგომში "დამკვეთი", ვადგენთ მოცემულ აქტს, მასზედ რომ შესრულებულ იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები:

1. [illegible]
2. 
3. 
4. 
5. 

სამუშაო შესრულებულია დროულად და ხარისხიანად, "დამკვეთს" "შემსრულებლი"-ს მიერ პრეტენზიები არ გააჩნია.

შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 25 ლარს.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომლიდან ერთი რჩება "შემსრულებელს" და მეორე "დამკვეთს".

შედარების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე.

"შემსრულებელი":

შპს"სერვის ექსპრეს+"

ს.კ 404858542

იურ.მის: ქ.თბილისი, ტ.ტაბიძის 43

ვითიბი ბანკის ჯორჯიას საბურთალოს ფილიალი

ბკ: UGEBGE22

აა :GE83VT7000000121243602

ხელმოწერა

"დამკვეთი":

დასახელება [illegible]

ს.კ 211351605

მის: [illegible]

დღგ [illegible] ?

ხელმოწერა

GEORGIA "SERVICE EXPRESS+" LTD 404858542 №2

TBILISI PUBLIC SCHOOL №62 211351605

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
14.02.2005 წ. N84 წლის ბრძანებით

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დადასტურებული

| 1 | ეა-06 5316860 |
|---|---|

| 3 | დეკემბერი | 2013 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 13 | დეკემბერი | 2013 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| 5.1 | 4 | 0 | 4 | 8 | 5 | 8 | 5 | 4 | 2 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს სერვის ექსპრეს+ |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| 6.1 | 2 | 1 | 1 | 3 | 5 | 1 | 6 | 0 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლა |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| კონდიციონერის ფილტრების გაწმენდა | მომსახურება | | 25,0000 | 3,8100 | 0,0000 |
| | | სულ | 25 | 3,81 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის
ხელმოწერა____________________ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე
ხელმოწერა____________________ბ.ა.

კორ-სტანდარტ ბანკი, ქ. თბილისი 0103, ქ. წამებულის 3
ტელ: (995 32) 507700, 507711
ფაქსი: (995 32) 507707

## საგადასახადო დავალება N 394498

თარიღი 13.12.2013

| | | | |
|---|---|---|---|
| გადამხდელის დასახელება | სსიპ ქალაქ თბილისის N 62 საჯარო სკოლა | | |
| საიდენტ. კოდი | 211351605 | ანგარიში (დებეტი) | GE10KS0000000360800576 |
| გადამხდელის ბანკი | სს "კორ სტანდარტ ბანკი" | ბანკის კოდი | KSBGGE22 |
| მიმღების დასახელება | შპს " სერვის ექსპრეს+" | | |
| საიდენტ. კოდი | 404858542 | ანგარიში (კრედიტი) | GE83VT7000000121243602 |
| მიმღები ბანკი | სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" | ბანკის კოდი | UGEBGE22 |
| საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | | | |
| გადახდის დანიშნულება | მომსახურების საფასური | | |
| დამატებითი ინფორმაცია | | | |

| თანხა |
|---|
| 25.00 |
| GEL |

| ბანკის აღნიშვნები | |
|---|---|
| ბანკში შემოსვლის თარიღი: | 13.12.2013 |
| გატარებულია ბანკის მიერ: | 13.12.2013 |

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი ________ ბ.ა.

მთ. ბუღალტერი ________

დაბეჭდილია ინტერნეტ-ბანკიდან
PRINTED VIA INTERNET BANK
KSBGGE22